

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში

მიმდინარე წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებულია 2136050 ლარი, რაც წლიური გეგმის 82,6 %-ს შეადგენს, ხოლო წინა წელთან შედარებით 1075789 ლარით მეტია, რაც გამოწვეულია უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) დაუგეგმავი გადასახადის გადახდით. აღნიშნულის შედეგად ქონების გადასახადის წლიური გეგმა 142,1 %-ით არის შესრულებული. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის წლიური გეგმის შესრულება 34,4 %-ს შეადგენს, ასევე რთულად მიმდინარეობს მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და სანებართვო მოსაკრებლის თანხების ბიუჯეტში მობილიზაციის საკითხი. ჩვენი მოსაზრებით, ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებებია გასატარებელი, რათა ბიუჯეტს კუთვნილი თანხები არ დააკლდეს. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებს მოთხოვნის შესაბამისად შეუფერხებლად ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. საანალიზო პერიოდში გაწეულია 5867474 ლრის ხარჯები, აქედან არაფინანსური აქტივების (ინფრასტრუქტურის პროექტები) მუხლის ხარჯი 1453234 ლარს შეადგენს, რაც საფინანსო წელში განსახორციელებელი პროექტების ხარჯის 30,1 %-ს შეადგენს. ამ მიმართულებით გაასაქტიურებელია საქმიანობა რათა ინფრასტრუქტურული პროექტები დასრულდეს დაგეგმილ ვადებში. 6 თვეში შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 790980 ლარი, გაწეული მიმდინარე ხარჯების 17,9 %-ი, შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებამ 65081 ლარი შეადგინა ხარჯების 1,5 %-ი, ოფისის ხარჯები 128436 ლარს შეადგენს ხარჯების 2,9 %-ი, მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯებზე მიმართულია 74675 ლარი გაწეული ხარჯების 1,7 %-ი, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯი 150389 ლარი ხარჯების 3,4 %-ი, სუბსიდიით დაფინანსებაზე მიიმართა 2761310 ლარი ხარჯების 62,6 %-ი სოც:უზრუნველყოფის მუხლით გაიხარჯა 297546 ლარი ხარჯების 6,7 %-ი, სხვა ხარჯების მუხლით 221362 ლარი გაწეული ხარჯების 5 %-ი, სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად გახარჯულია 17400 ლარი.